რა უფლებები მაქვს მე, როგორც სისხლის სამართლის დანაშულის მსხვერპლს?

არავინ არის იმისთვის მზად, რომ გახდეს სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი.

სულ ერთია, არის ეს ჯიბის ქურდობის შემთხვევა, სხეულის მძიმე დაზიანება, თუ სხვა სახის დანაშაული: შესაძლოა ადამიანი დანაშაულის გამო მსხვერპლად გრძნობს თავს და დაბნეულია ან ხშირად არ იცის, როგორ მოიქცეს.

ამ ბროშურამ პირველადი წარმოდგენა უნდა შეგიქმნათ იმის შესახებ, თუ სად შეიძლება დახმარების მიღება და რა უფლებები გაქვთ.

ვის შეუძლია ჩემი დახმარება?

მსხვერპლის დამხმარე ორგანიზაციები თავაზობენ კონსულტაციას და დახმარებას. საკონსულტაციო პუნქტებში მუშაობენ სპეციალური მომზადების მქონე პიროვნებები, რომლებსაც თქვენს სიტუაციაში მყოფ ადამიანებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ და სურთ მოგისმინონ და დაგეხმარონ. მოთხოვნილებისამებრ მათ შეუძლიათ სხვა დახმარების შუამდგომლობის გაწევა, მაგალითად, ფსიქოლოგიური ან თერაპევტული დახმარება.

მიმოხილვა იმის შესახებ, თუ ვის შეგიძლიათ მიმართოთ, იხილეთ ბმულზე **www.hilfe-info.de**

ცხადია, თქვენ ეს შეგიძლიათ პოლიციის ნებისმიერ განყოფილებაში იკითხოთ.

როგორ შემიძლია განვაცხადო სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ და რა ხდება ამის შემდეგ?

თუ გსურთ განცხადება გააკეთოთ სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ, მაშინ შეგიძლიათ მიმართოთ პოლიციის ნებისმიერ განყოფილებას. განაცხადი დანაშაულის შესახებ თქვენ ასევე შეგიძლიათ პროკურატურაში შეიტანოთ. თუ განცხადება შეიტანეთ სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ, მაშინ არ შეგიძლიათ განცხადების უბრალოდ უკან გამოტანა, რადგან საგამოძიებო უწყებებმა (პოლიცია და პროკურატურა) ყველა განცხადებული დანაშული უნდა გამოიძიონ.

მხოლოდ რამოდენიმე არც თუ ისე მძიმე დანაშაულის შემთხვევაში (როგორიცაა მაგალითად შეურცხყოფა, ან საგნობრივი დაზიანება) შეუძლია დაზარალებულს გადაწყვიტოს, უნდა განხორციელდეს თუ არა დანაშაულის დევნა. ამიტომაც ამ დანაშაულებებს ეწოდებათ კერძო ბრალდების დანაშაული: სტანდარტულად ამ შემთხვევაში დანაშაული იდევნება მხოლოდ განაცხადის საფუძველზე, ანუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თქვენ, როგორც დანაშაულის მსხვერპლი ამას ცალსახად მოისურვებთ. საჩივარი უნდა შეიტანოთ დანაშაულებრივი ფაქტის გაგებიდან, ან დამნაშავე პირის შესახებ შეტყობინებიდან სამი თვის განმავლობაში.

რა ხდება, როცა გერმანული ენა არ ვიცი, ან ძალიან ცუდად ვიცი?

არა უშავს. თუ საჩივრის შეტანა გინდათ, დაგეხმარებიან. თუ თქვენი დაკითხვა მოწმის სტატუსით მოხდება, მაშინ უფლება გაქვთ, მოითხოვოთ თარჯიმნის ჩართვა. თუ თქვენ გარკვეული ინფორმაცია გსურთ და საკმარისად გერმანულ ენას არ ფლობთ, შეგიძლიათ მოითხოვოთ, თქვენთვის გასაგებ ენაზე მიიღოთ შეტყობინება.

რა ინფორმაცია შემიძლია მივიღო სისხლის სამართლის საქმის წარმოების შესახებ?

თუ სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი გახდებით, შესაძლებელია ინფორმაცია საქმის წარმოებიდან და ოქმიდან ამოიღოთ. მაშინ საუკეთესო შემთხვევაში პოლიციაშივე განაცხადეთ, თუ ან და რა ინფორმაცია გსურთ მიიღოთ. შესაძლებელია შემდგომი ინფორმაციის მიღება:

- თქვენ მიიღეთ მოკლე წერილობითი დასტური თქვენს მიერ შეტანილი სისხლის სამართლებრივი საჩივრის განაცხადის შესახებ.
- თქვენ მიიღებთ შეტყობინებას თუ შეწყვეტს პროკურატურა საქმის წარმოებას. ეს ნიშნავს, რომ იგი სასამართლოში ბრალდებას არ წააყენებს.
- თქვენ მოგაწოდებენ ინფორმაციას, სად და როდის ტარდება სასამართლო საქმის განხილვა და შესაბამისად, რას ედავებიან ბრალდებულს.
- თქვენ შეგატყობინებენ, თუ რა შედეგით დამთავრდა სასამართლო განხილვა, ეს ნიშნავს, სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა თუ მსჯავრი შეუფარდა ან საქმის წარმოება შეწყდა.
- თქვენ მიიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ ეჭვმიტანილი ან განსასჯელი პირი არის თუ არა პატიმრობაში. აქ მოიაზრება ისიც, რომ თქვენ მიიღებთ ინფორმაციას, როდესაც მსჯავრდებული პატიმრობის შვებულებას მიიღებს ან თუ ის პატიმრობიდან გაიქცა.
- თქვენ მიიღებთ შეტყობინებას, ეკრძალება თუ არა მსჯავრდებულს თქვენთან კავშირის დამყარება.

ბოლოს, ცალკეულ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ოქმიდან ინფორმაცია და ასლები მიიღოთ. ეს შეიძლება ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ ავარიის ჩანახაზი იყოს, რომელიც თქვენ გესაჭიროებათ, რათა ზარალის ან არაქონებრივი ზიანის ფულადი კომპენსაცია მოითხოვოთ. თუ თქვენ თანამოსარჩელე (თანამოსარჩელის შესახებ იხილე მე-8 გვერდზე) არ ბრძანდებით, მაშინ უნდა დაასაბუთოთ განაცხადი, ანუ განმარტოთ, თუ რატომ გესაჭიროებათ თქვენ ოქმიდან ეს ინფორმაცია. გამონაკლისები ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებია.

თქვენი, როგორც მოწმის ჩვენება

თქვენ, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი, ბრძანდებით მოწმე და ამგვარად საქმის წარმოებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ხართ. მოწმის უმნიშვნელოვანესი ამოცანა განისაზღვრება სრულყოფილი და სიმართლის შესაბამისად ჩვენებების გაკეთებაში. თქვენ საგამოძიებო უწყებებს ძალზე დაეხმარებით, თუ თქვენი დაკითხვის დროს დოკუმენტაციას თან მოიტანთ, რომელსაც თქვენ ფლობთ (მაგ. ექიმის ბიულეტენი ან ფოტოსურათები). წესისამებრ თქვენ პოლიციაში აძლევთ ჩვენებას. ხშირ შემთხვევაში მოგვიანებით სასამართლოშიც უნდა მისცეთ ჩვენება. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, თუ ეჭვმიტანილ პირთან დაქორწინებული ან ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფებით, უფლება გაქვთ უარი თქვათ ჩვენების მიცემაზე, ანუ არ ხართ ვალდებული რაიმე თქვათ.

დაკითხვის დროს ვალდებული ხართ თქვათ თქვენი სახელი და მისამართი. გამონაკლისი შეიძლება დაიშვას, თუ განსაკუთრებულ საშიშროებას აქვს ადგილი. მაგალითად, ეს შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, თუ ვინმე ძალადობით დაგემუქრათ, რადგანაც თქვენ ჩვენების მიცემა გინდათ. მაშინ თქვენ არ ხართ ვალდებული განაცხადოთ თქვენი კერძო მისამართი. ამის ნაცვლად შეგიძლიათ სხვა მისამართი დაასახელოთ, რომელზეც შესაძლებელია თქვენთან დაკავშირება. ეს შეიძლება იყოს მაგალითად დაზარალებულთა დამხმარე დაწესებულება, რომელთანაც თქვენ გაქვთ კონტაქტი. თუ თქვენ სასამართლოში ჩვენებას აკეთებთ და ბრალდებული, შესაბამისად განსასჯელი პირი ადგილზე იმყოფება, თქვენ სრულ თქვენს მისამართს არ გკითხავენ, არამედ მხოლოდ საცხოვრებელ ადგილს.

თუ როგორც ეხლა აღწერილი საფრთხე სახეზეა მაშინ სახცოვრებელი ადგილის დასახელებისგანაც შეგიძლიათ თავი შეიკავოთ.

მისცეთ ჩვენება როგორ მოწმემ, ეს თქვენთვის ნამდვილად განსაკუთრებული სიტუაცია იქნება, რომელიც შესაძლებელია ძალიან დამთრგუნველი იყოს. ამის გამო შეგიძლიათ დაკითხვაზე მიიყვანოთ თანმხლები პირი. ის შეიძლება იყოს ნათესავი ან მეგობარი. ამ პირს უფლება აქვს დაესწროს დაკითხვას, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება მისი გამორიცხვა. თანმხლები პირი შეიძლება იყოს, რა თქმა უნდა, ადვოკატი. განსაკუთრებულ შემთხვევაში საქმის განხილვის დროის განმავლობაში ადვოკატი ასევე სახელწიფო ხარჯზეც შეიძლება დაგენიშნოთ. თუ მიგაჩნიათ, რომ დაკითხვისას გჭირდებათ ასეთი თანადგომა, სულ ერთია ეს იქნება პოლიციაში, პროკურატურაში თუ სასამართლოში, დაეკითხეთ პირს, ვინც დაკითხვას ატარებს!

ფსიქოლოგიური თანადგომა პროცესის განმავლობაში

2017 წლიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მასშტაბით შესაძლებელი გახდა გარკვეულ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროის განმავლობაში პროცესუალური თანადგომის და პატრონაჟის მიღება (ე.წ. ფსიქოლოგიური საპროცესო თანხლება). განსაკუთრებით თუ ბავშვები ან მოზარდები გახდნენ ძალადობის, ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, მათ აქვთ ამგვარი მოთხოვნის უფლება. ასევე მძიმე ძალადობის ან სექსუალური დანაშაულის ზრდასრულ მსხვერპლს შესაძლებელია მსგავსი თანადგომა ესაჭიროებოდეს და ის მიიღოს.

ფსიქოსოციალური საპროცესო დახმარება მსხვერპლისთვის უფასოა იმ შემთხვევაში, თუ მას სასამრთლო დაამტკიცებს. ყველა სხვა შემთხვევაში საკუთარ ხარჯებზე შეგიძლიათ ფსიქოსოციალური საპროცესო თანხლებით ისარგებლოთ. არ მოგერიდოთ ეს იკითხოთ პოლიციაში ან დაზარელებულების მომსახურე დაწესებულებაში. აქ შეუძლიათ მოგაწოდონ დამატებითი ინფორმაცია.

ასევე შეგიძლიათ ინტერნეტში მოიძიოთ ვრცელი ინფორმაცია საპროცესო ფსიქოსოციალური თანხლების შესახებ, იხილე → **www.hilfe-info.de** finden.

შემიძლია თუ არა როგორც თანამოსარჩელეს ჩავერთო სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში?

თუ სისხლის სამართლის გარკვეული დანაშაულის მსხვერპლი გახდით, მაშინ შეგიძლიათ პროცესზე გამოცხადდეთ როგორც თანამოსარჩელე. ასეთია მაგალითად, გაუპატიურება, გარყვნილი ქმედება, სიცოცხლის მოსპობის მცდელობა, ან ქმედება, რომელმაც ახლო ნათესავის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. ასეთ შემთხვევებში თქვენ განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობთ, მაგალითად, თქვენს ადვოკატს განსაკუთრებული დასაბუთების გარეშე შეუძლია სისხლის სამართლის საქმის წარმოების ოქმი მიიღოს და ნებისმიერ დროს საქმის წარმოების პროცესში განცხადებები გააკეთოს. სხვა მოწმეებისგან განსხვავებით თქვენ შეგიძლიათ სასამართლო მთავარ სხდომას ყოველთვის დაესწროთ.

ვინ გადაუხდის ჩემს ადვოკატს?

თუ გამოიყენებთ საადვოკატო მომსახურეობას, მაშინ თქვენ შესაძლოა ხარჯები წარმოგექმნათ. თუ ბრალდებულს, შესაბამისად, ბრალდებულებს, მსჯავრი შეეფარდება(თ), მაშინ ადვოკატის ხარჯი მა(თ)ნ უნდა დაფაროს(ნ). თუმცა რეალურად ყველა მსჯავრდებულს მართლაც არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ხარჯი დაფაროს. ამიტომ შესაძლებელია თავად მოგიწიოთ ამ ხარჯის დაფარვა.

განსაკუთრებულ, გამონკლის შემთხვევებში შეგიძლიათ სასამართლოში შეიტანოთ განაცხადი მოთხოვნით, ადვოკატის მომსახურეობა მიიღოთ სახელმწიფოს ხარჯზე. ეს ასე ხდება, მაგალითად, ძალადობრივი და სექსუალური მძიმე დანაშაულისას ან თუ სისხლის სამართლის დანაშაულის გამო გარდაგეცვალათ ახლო ნათესავი, მაგალითად, შვილები,

მშობლები ან მეუღლე. ასეთ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, გაქვთ თუ არა ფინანსური შესაძლეობლობა.

სხვა შემთხვევევებშიც შეგიძლიათ სასამრთლოში შეიტანოთ განაცხადი ადკოკატის მომსახურეობისთვის ფინანსური დახმარების შესახებ. ეს მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ მცირე შემოსავალი გაქვთ და უფლება გაქვთ თანამოსარჩელედ ჩაერთოთ საქმის წარმოებაში.

ზარალის ანაზღაურება და არაქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურება

თქვენ სისხლის სამართლის დანაშაულის გამო ასევე ზიანიც მიიღეთ ან გსურთ მიყენებული ტკივილის მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება? გსურთ მოთხოვნის ამ უფლების სისხლის სამართლის საქმეში წარდგენა? როგორც წესი ეს შესაძლებელია (ე.წ. ზიანის ანაზღაურების სარჩელის აღძვრა სისხლის სამართლის საქმეზე). მაგრამ ამისათვის უნდა შეიტანოთ კონკრეტული მოთხოვნა. თუ თქვენ მოთხოვნების დაყენება გსურთ, ეს დროულად გააჟღერეთ, უკეთეს შემთხვევაში უკვე საჩივრის გაკეთების დროს.

რა თქმა უნდა, თქვენ ასევე შეგიძლიათ გადაწყვიტოთ გამოიყენოთ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ან არაქონებრივი ზარალის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არა სისხლის სამართლის, არამედ სამოქალაქო სამართლის გზით მოითხოვოთ.

ორივე შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ საადვოკატო კონსულტაციის დაფინანსების მოთხოვნის განაცხადით მიმართოთ სასამართლოს, თუ თქვენ მცირე შემოსავალი გაქვთ.

სხვა რა უფლებები მაქვს?

ძალადობრივი ქმედების გამო დაგიზიანდათ ჯანმრთელობა? მაშინ შესაძლებელია მსხვერპლისთვის ზარალის ანაზღაურების კანონის გამოყენებით სახელმწიფოსგან დახმარების მიღება. როცა მაგალითად საქმე ეხება სამედიცინო ან ფსიქოთერაპიულ მკურნალობას, დამხმარე საშუალებებს (მაგ. დამხმარე მოწყობილობას გადაადგილებისთვის, ინვალიდთა ეტლს) ან საპენსიო დახმარებას (მაგალითად შემოსავლის დანაკარგის კომპენსირებას). თქვენ შეგიძლიათ ამის თაობაზე პოლიციაში საჩივრის გაკეთების დროს იკითხოთ. მას შეუძლია თქვენ კომპეტენტურ ორგანოსთან გიშუამდგომლოთ.

წინასწარი განცხადების დაყენების გარშე თქვენ შეგიძლიათ სპეციალურ ტრამვა-ამბულატორიას მიმართოთ, რათა მწვავე საჭიროებისას სწრაფი და არა გართულებული ფსიქოთერაპიული მხარდაჭერა მიიღოთ.

თუ ხართ ექსტრემისტული ან ტერორისტული დანაშაულის მსხვერპლი, შეგიძლიათ იუსტიციის ფედერალურ სამსახურში შეიტანოთ განაცხადი ფინანსური დახმარების მიღების თაობაზე. იქ მიიღებთ ყველა ინფორმაციას წინაპირობებსა და თავად პროცესის მიმდინარეობის შესახებ: → **www.bundesjustizamt.de** (საძიებელი სიტყვა: Bürgerdienste → Härteleistungen)

როგორც ოჯახური ძალადობის მსხვერპლს, სავარაუდოდ დამატებითი უფლებებიც გაქვთ ძალადობისგან დაცვის კანონის გამოყენებით. მაგალითად, საქალაქო სასამართლოში (საოჯახო სასამართლო) შეგიძლიათ განცხადება გააკეთოთ იმის თაობაზე, რომ დამნაშავეს აეკრძალოს თქვენთან კონტაქტის დამყარება. სასამართლოს შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევევებში უფლება მოგცეთ, რომ იმ ბინაში, სადაც ამ დრომდე დამნაშავესთან ერთად ცხოვრობდით, მარტო იცხოვროთ. ამისთვის აუცილებელი განცხადება შეგიძლიათ საქალაქო სასამართლოში ან წერილობით შეიტანოთ ან ადგილზე განცხადებები ზეპირსიტყვიერად განუმარტოთ. ამასთან არ ხართ ვალდებული წარგადგინოთ ადვოკატმა.

შესაძლოა უბედური შემთხვევების საყოვეთაო დაზღვევის წინაშე მოთხოვნები არსებობდეს. ეს შეიძლება ის შემთხვევა იყოს, როდესაც მაგალითად, თქვენს პროფესიულ საქმიანობას ეწეოდით, სკოლის კლასთან ან უნივერსიტეტის სასემინარო ჯგუფთან ერთად მოძრაობდით ან უბედურ შემთხვევაში ან გასაჭირში მყოფ სხვა პირებისთვის გსურდათ დახმარება და ამ დროს დაშავდით. საავარიო კლასიფიკაციის ცხრილს და პროფესიულ კავშირს იხილავთ უბედური შემთხვევების გერმანულ საყოვეთაო დაზღვევის ვებგვერდზე → **www.dguv.de** (→ Versicherung → Zuständigkeit).

რა არის დამნაშავესა და მსხვერპლს შორის მორიგება?

დამნაშავესა და მსხვერპლს შორის მორიგებამ, მათ შორის სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლს უნდა დაეხმაროს გადალახოს განცდილი უსამართლობა. ჩვეულებრივი სისხლის სამართლის საქმის განხილვისგან განსხვავებით დამნაშავე კონკრეტულად და პირდაპირ სიღრმისეულად უნდა გაერკვეს იმაში, თუ რა ზიანი და დაზიანებები მიაყენა მისმა დანაშაულებრივმა ქმედებამ მსხვერპლს. ეს შესაძლებელია იყოს მატერიალური ზიანი, რომელიც მსხვერპლმა განიცადა სისხლის სამართლის დანაშაულის გამო ან სულიერი ტრავმა, პირადი შეურაცხყოფა და დანაშაულის გამო გამოწვეული შიშები. ჩვეულებრისამებრ ეს საუბარი შედგება კანონიერი მედიატორი პირის მონაწილეობით, სურვილისამებრ პირადი შეხვედრის გარეშე და მხოლოდ მედიატორი პირის მეშვეობით.

დამნაშავესა და მსხვერპლის მორიგება არასოდეს ხდება მსხერპლის სურვილის საწინააღმდეგოდ, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ დამნაშავეს სერიოზული მზაობა აქვს აიღოს პასუხისმგებლობა დანაშაულზე. შესაბამის შემთხვევებში დამნაშავესა და მსხვერპლის მორიგება შესაძლებელია მსხვერლის მიერ პირადი კონფლიქტის გადალახვასა და სამართლებრივი მშვიდობის დამყარებას ემსახუროს. ამის გამო, ხშირად ამგვარი საქმის წარმოებას პროკურატურა ან პოლიცია ხელს უწყობს. თუმცა ეს არ მიეკუთვნება ძირითად სისხლის სამართლის საქმის წარმოებას და სისხლის სამართლის საქმე დამოუკიდებლად ხორციელდება. ამისთვის არსებობს განსაკუთრებული სამსახურები და დაწესებულებები, სადაც სპეციალურად განსწავლული მედიატორები მუშაობენ.

დამატებით ინფორმაციას მსხვერპლისა და დამნაშავის მორიგებაზე და დაწესებულებებზე, რომელებიც თქვენს სიახლოვეს მუშაობს, იპოვით ინტერნეტში, მაგალითად იხილე → **www.toa-servicebuero.de/konfliktschlichter** ან ასევე იხილე → **www.bag-toa.de**

ბროშურები და ბმულები დეტალური ინფორმაციისთვის

სრულ ინფორმაციას მხვერპლის დაცვის შესახებ თქვენ იხილავთ **www.hilfe-info.de**

სხვა დამხმარე ინფორმაციას მათ შორის იხილავთ შემდეგ ბროშურებში:

- **მსხვერპლთა სახელმძღვანელო**
- **მე მაქვს უფლებები**
- **მეტი დაცვა ოჯახური ძალადობისას**
- **საკონსულტაციო და საპროცესო ხარჯებში დახმარება** ეს ყოველივე იხილე **www.bmj.de/Publikationen**
- **ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთა დახმარება** იხილე **www.bmas.de/opferentschaedigung**

პუბლიკაციის შეკვეთა:
www.bmj.de

ფედერალური მთავრობის პუბლიკაციის გზავნილი:
Postfach 481009
18132 Rostock
ტელეფონი: (030) 18 272 272 1
ფაქსი: (030) 18 10 272 272 1

სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლებისთვის ქვემო საქსონიაში არაერთი საკონტაქტო და კონსულტაციის პუნქტი არსებობს:

უფასო დახმარების მიღების უფლება სისხლის სამართლის დანაშაულის ყველა მსხვერპლს და მისი ოჯახის წევრებს აქვთ. ქვემოთ დასახელებულ საკონტაქტო და კონსულტაციის პუნქტებში სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები მუშაობენ. მათ თქვენს მდგომარეობაში მყოფ ადამიანებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ. ისინი გულდასმით მოგისმენენ და დაგეხმარებიან. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დახმარებისთვის სხვა სპეციალისტებთან დაგაკავშირებენ და დაგაკვალიანებენ მათ შორის, შემდეგი საკითხების თაობაზე:

- ტრამვატოლოგიური ამბულატორიების მიერ სწრაფი ფსიქოთერაპევტული დახმარება,
- განცხადებების დაწერა ძალადობისგან დაცვის კანონის შესაბამისად,
- ოჯახური და/ან სექსუალური ძალადობის მტკიცებულებების დოკუმენტაცია პოლიციაში განცხადების მიუხედავად (Netzwerk ProBeweis/პრობევაიზ-ქსელი),
- სისხლის სამართლის განცხადება და საჩივარი,
- ინფორმაცია სისხლის სამართლის პროცესების შესახებ,
- მოწმის ჩვენება,
- მოწმეების თანხლება,
- გვერდითი ბრალდება,
- ზიანის ანაზღაურება ან ტანჯვით გამოწვეული ზიანის ფულადი კომპენსაცია (ზიანის ანაზღაურების სარჩელები სისხლის სამართლის საკითხებში),
- ფინანსური დახმარების შესაძლებლობები,
- დამნაშავე-მსხვერპლთა მედიაცია და
- დახმარება ენის პრობლემების შემთხვევაში (auch Gebärdensprachdolmetschen etc.).

ქვემო საქსონიის მსხვერპლთა დახმარების ფონდის 11 მსხვერპლების დახმარების ოფისი
ოფისების შეთავაზებებისა და საკონტაქტო მონაცემების შესახებ ინფორმაციას იხილავთ გვერდზე:
www.opferhilfe.niedersachsen.de
ტელეფონი: 0441/220-1111

ფსიქოსოციალური საპროცესო თანადგომა
საპროცესო თანადგომა სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლებისთვის განსაკუთრებით ინტენსიური დახმარებაა სისხლის სამართლის პროცესებში. ინფორმაციას იხილავთ გვერდზე:
www.justizportal.niedersachsen.de/Prozessbegleitung
ტელეფონი: 0511/120-8728

გარდა ამისა, აქ დამატებით ინფორმაციას და დახმარებას მიიღებთ:

მსხვერპლთა დაცვის სამხარეო რწმუნებული პირის სამსახურის მონაცემები
ცენტრალური კონსულტაციის და მედიაციის შეთავაზებების და სამხარეო რწმუნებული პირის საკონტაქტო ინფორმაციას იხილავთ გვერდზე:
www.mj.niedersachsen.de/opferschutzbeauftragter
ტელეფონი: 0511/120-8737

ვაისერ რინგ რეგისტრირებული გაერთიანება ქვემო საქსონიაში 41 ფილიალით
ვაისერ რინგ რეგისტრირებული გაერთიანების შეთავაზებების და ქვემო საქსონიაში ფილიალების შესახებ ინფორმაციას იხილავთ გვერდზე:
www.niedersachsen.weisser-ring.de
ტელეფონი მსხვერპლებისთვის: 116 006 (უფასოდ).

თქვენი უფლებების და თქვენთვის თანადგომის შესახებ ზოგად ინფორმაციას, გარდა ამისა, ქვემო საქსონიაში არსებული საკონტაქტო და კონსულტაციების პუნქტების შესახებ ინფორმაციას იხილავთ გვერდზე
www.opferschutz-niedersachsen.de